№ 26
ხუთშაბათი, 5 თებერვალი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 26
ხუთშაბათი, 5 თებერვალი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 8 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 9 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 5 თებერვალს,

**ბენეფისი ბ. შათირიშვილისა.**

ქართულის დრამატიულის დასისაგან წარმოდგენილი იქნება

## ავაზაკები

დრამა 5 მოქმ. თხზ. შილერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გარგარელი, ბ-ნნი მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **ქ. მესხი.**

ამ მოკლე ხანში იქნება ბენეფისი კ. მესხისა.

## ასპინძის ომი,

ისტორიული ამბავი, იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, მეფე ერეკლეს პორტრეტით და ქარტით. ფასი ორი შაური.

## მეფე ერეკლე და ინგილო ქალი

ისტორიული მოთხრობა მისივე, ორი სურათით, ფასი ერთი შაური.

იყიდება ყოველს წიგნის მაღაზიაში აქეთა და იქითა საქართველოში. (4—1)

დოქტორი მედიცინისა

## ზ. ი. ქალანთაროვი

(ახლად მოსული ქ. ხარკოვიდგან)

იღებს ავადმყოფებს **შინაგანის სნეულებითა,** დილის 11—1 საათამდის და საღამოს 5—6 საათამდის.

სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 1.
(10—23—4)

ტფილისი, 4 თებერვალი

ამას წინად ტფილისის საბჭოში საუბარი გაიმართა პოლიტეხნიკუმის დაარსების გამო ტფილისში. ბევრი ილეს, დაილეს და ბოლოს საბჭომ დაადგინა, რომ, თუ მთავრობა ტფილისში პოლიტეხნიკუმს გამართავს, ქალაქი ორას დესეტინა მიწას მიართმევს საჩუქრად და ყოველ წლივ მიაშველებს სამი ათასს თუმანს თავისის შემოსავლიდამ. ხუთი ხმოსანი ამისი წინააღმდეგი შეიქმნა და მათ შორის ბ-ნი ხუდადოვი. „ეს უკანასკნელი, ამბობს „Новое Обозрѣніе“, უსათუოდ იმიტომაო, რომ იგი ყოველთვის წინააღმდეგია მარტო წინააღმდეგობისათვისაო“.

არ ვიცით ამის გამო, თუ სხვა რამ უფრო საფუძვლიან მიზეზით, ბ-ნმა ხუდადოვმა დაჰბეჭდა ,,Новое Обозрѣніе“-ში წერილი და აგვიხსნა რა საზრისით არ შეიწყნარა მან ზემოხსენებული განაჩენი საბჭოსი. ბ-ნი ხუდადოვი ამბობს, რომ პოლიტეხნიკუმი სასურველია და სასარგებლო და ამაზე უარს ვერავინ ვერ იტყვისო. ხოლო აქ საქმე ეს-კი არ არის, არამედ ისაო, რომ ჩვენი ქალაქი, უამისოდაც ღარიბი, ძლივ უძლვება თავისს ვალებს და ეხლა ეს სამი ათასი თუმანი ყოველ წლივ კისერზე უნდა დაეწეროს ხარჯის მძლეველთაო. განა ქალაქს ნება აქვს ასე დაუმძიმოს ცხოვრება უამისოდაც ხარჯით დატვირთულს მკვიდრსაო? განა ქალაქს არა აქვს ამაზე უფრო მეტად მოლოდებელი და დაუყოვნებელი საჭიროებაო? აქვს და ძალიან ბევრიცაო. სხვა რომ არა ვთქვათ-რა, მარტო ისიც საკმაოა ვიცოდეთ, რა დღეშია ტფილისში მარტო პირველ დაწყებითის განათლების საქმეო. აქ ბ-ნს ხუდადოვს მოჰყავს ციფირები და აქედამ გამოდის, რომ ტფილისში სულ ცხრა სკოლაა, საცა მარტო 859 მოწაფეა მაშინ, როდესაც მისის ანგარიშით ტფილისში 20,000 ყმაწვილი მაინც არის სკოლის ასაკისა და ოთხი იმოდენა, რაც პირველ დაწყებით სკოლაში სწავლობენ, სხვა სასწავლებლებში რომ ვიგულვოთო, 15,000 მაინც ყოვლად უნუგეშოდ დარჩენილნი არიანო.

ეს ამოდენა რიცხვი უსკოლოდ დარჩენილის ბავშვებისა ისეთი ღრმა ჩასაფიქრებელი ამბავია, რომ კაცი უნდა დიდის გულდადებით მოეპყრასო. გულდადებით მოპყრობა კიდევ ის არისო, რომ რაც შეიძლება მეტი ფული იყოს გადადებული პირველ-დაწყებითის სკოლების გამრავლებისათვისაო. პოლიტეხნიკუმისათვის რომ სამი ათასი გადასდეთ, ეს ფული რომ პირველ დაწყებით სკოლებს მიეშველოს, ხუთმეტი ახალი კარგად მოწყობილი სკოლა მოგვემატებაო, ათასი ბავშვი, რომელიც ეხლა მოკლებულია პირველ-დაწყებითს სწავლა-განათლებას, ისწავლიდნენ რასმე და გზას გაიხსნიდნენ უფრო მეტის ცოდნის შეძენისათვისაო.

დანარჩენს საუბარს ბ-ნ ხუდადოვისას ჩვენ თავს ვანებებთ. იმიტომ-კი არა, რომ ანგარიშ გასაწევი არ იყოს და ყურადღების ღირსი. პირიქით, საგულისხმიეროა და ჩასაფიქრებელი. ჩვენ აქ გვინდოდა მარტო მისი დედა-აზრი აგვენიშნა, რადგანაც პასუხები, რომელიც მან გამოიწვია ჯერ საბჭოში და მერე ,,Новое Обозрѣніе‘‘-ში, ამ ბრძენთა ბრძნულ გაზეთში, „საოცარი“ პასუხებია. ამ პასუხებში აშკარადა სჩანს იგი გაუტეხელი ბუნება, რომელიც, რაც გინდ ჰმალო, მაინც თავს გამოიჩენს ხოლმე, და მეორეს მხრით —სრული ჭკუის გლახაობა „Новое Обозрѣніе“-სი.

დედა-აზრი ბ-ნ ხუდადოვისა იმაზეა აგებული, რომ როცა შიმშილით შვილები გიწყვიან, მაშინ ბლამანჟეებზე ფულის ფანტვა სულელობაო, მით უფრო, როცა ჯიბე ცარიელი გაქვს და ვალი გაწევს კისერზედაო. ჩვენ ორასს დესეტინას ქალაქის მიწას და ყოველ წლივ სამი ათასს თუმანს პოლიტეხნიკუმის დაარსებისათვის ვწირავთ მაშინ, როდესაც თითქმის ხუთმეტი ათასი ბავშვი დაგვიტოვებია უან-ბანოდ, ჭკუა და გონება გაუხსნელად, გულ გაუნათებლად, გაუფაქიზებლადაო. ის არა სჯობია, თუ რამე გვაქვს ტფილისელებსა, ჯერ ამ სატკივარს უვიცობისას, გონებისა და გულის სიბნელისას ვუწამლოთო და მერე, თუ ამას გადარჩება რამ, პოლიტეხნიკუმზედაც ვიფიქროთო. აი დედა-აზრი ბ-ნ ხუდადოვისა. ერთი ხმოსანი, რომელიც, როგორც ეტყობა, სხვებზე უფრო პირდაპირი და გულახდილი კაცია, ამაზე აი რა პასუხს ეუბნება ბ-ნ ხუდადოვს: ბ-ნი ხუდადოვი იქნება კარგი მკურნალი იყოს, მაგრამ ფინანსისტი-კი ვერაფერი ყოფილაო. ჩვენ რომ ორასს დესეტინას ვაძლევთ საჩუქრად, განა ვზარალობთო? პირიქით, დიდ მოგებაში ვართო: იმ ორასს დესეტინაზე პოლიტეხნიკუმს ააშენებენ, მაშინ გარშამო მიწები, რომელიც დღეს ჩალის ფასადაც არ გადის, საჟენი ოც-და-ხუთი მანეთი გახდებაო.

როგორ მოგწონთ ეს ,,ჩოტკიანი‘‘ ანგარიში იქ, სადაც უმაღლესს სასწავლებელზეა ლაპარაკი? ეგ გაჩუქე კი აღარ გამოდის, მაჩუქეა. რა ჭკუიანები არიან! საიდამ მოუარეს საქმეს! აღებაა თუ მიცემა ყველგან გამორჩენას და სარფას ეფოტინებიან, გამდიდრდებიან მა რა ეშმაკია. ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, ნათქვამია. ზნე-ჩვეულებამ კულტუროსნებისამ აქაც თავი ვერ დამალა. ხელზე პოლიტეხნიკუმი დაიხვიეს, ლიბერალური გულ მტკივნეულობა განათლებისათვის ბაირაღად დაიჭირეს, და, თურმე ნუ იტყვით, გულში-კი მიწების მეტ-ფასად გასაღება ჰქონიათ პოლიტეხნიკუმის მოწყალებითა. გამოდის, რომ პოლიტეხნიკუმი უმაღლესის განათლებისათვის-კი არა სწყურებიათ, არამედ იმისათვის, რომ ქალაქელების მიწები ფასს მოიმატებენ და მიწის-პატრონები ფულებს ჩაიჩხრიალებენ ჯიბეში. ეს განა იმას არა ჰგავს, რომ ზოგიერთი კუტრი ქალაქები მთავრობას სთხოვენ, ჯარები დაგვიყენეო იმისათვის-კი არა, რომ მტრისაგან უშიშარ ვიყვნეთო, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს საქონელს მუშტარი გავუჩინოთო და აღებ-ტაცება გავაჩაღოთო.

რა ყოფილა ეს წყეული კულტურა!.. ქვასაც-კი წყალს გამოადენს. აბა, პოლიტეხნიკუმის დაარსებასაც კაცი რომ ფულის გამოდენის თვალით შეჰხაროდეს, ამაზე მეტი ხერხი და ოსტატობა-ღა გნებავთ!.. აბა, კაცმა „გაჩუქედამ“ რომ „მაჩუქე“ გამოსჩიკოს, ამაზე მეტი ჭკუა-ღა იქნება!.. არა, არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ჰხეხო ქვიშითა!.. „ჩოტკის“ კაცი სულ სხვა ჯურისაა, ანგარიშიანი კაცია. პოლიტეხნიკუმი იმისთვის თავის-თავად-კი არ არის სასურველი, როგორც უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც შემძლებელია კაცი კაცად გაჰხადოს, არამედ იმით, რომ ქალაქის მიწები ფასში აიწევენ და მიწის პატრონები გამდიდრდებიან. უკეთეს საცდურს სხვას ვერასფერს მოიგონებს კაცი, რომ ჩვენებური ბურჟუაზიული საბჭო ჩანგალზე მოსულიყო და პოლიტეხნიკუმის წადილზე თითქმის ერთხმად აგებულიყო. ამ მხრით ჩვენ არა ვძრახავთ საბჭოს. პოლიტეხნიკუმი კარგი რამ არის, მაგრამ არა იმ მხრით, რომ მისის წყალობით ქალაქის მიწები ფასში აიწევენ, როგორც ჯარები არა იმ მხრით არიან სასარგებლონი, რომ, საცა დადგებიან, მედუქნეებს მუშტარი მოემატებათ.

გვეტყვიან, ტფილისის საბჭო სალაყბოდ არის გადაქცეული და ერთმა რომ წამოროშოს რამ, რა მიზეზია ჩამოკიდებისაო. მართალია, მაგრამ რომ ერთმა არავინ იმოდენა საბჭოში სიტყვა არ შეუბრუნა და არ უთხრა: ადამიანო, ეგ რა სთქვი? განა ორას დესეტინას იმიტომ ვაძლევთ საჩუქრად, რომ ჩვენის საკუთარის ჯიბის ანგარიში გვქონდა? ეგ რაღა ჩუქებაა, როცა მაგისთანა გამორჩენა და სარფა,—სწორედ ჯიბის სარფა,—თან მოსდევს ჩვენთვის. ეგ ხომ აღებ-მიცემობაა, ხოლო სხვა ნაირი, სხვა ნაირ დარგისა და ოსტატობისა. ვის ატყუებთ? რა საკადრისია! ჩვენ პოლიტეხნიკუმს შევწირავთ ორასს დესეტინას, თუნდ ამით ქალაქის მიწებმა ფასში დაიწიონ, რადგანაც „სწავლისაგან გამდიდრება სიმდიდროზედ უმდიდროა“.

აბა ამას ვინ ეტყოდა იქ, საცა ჰბჭობენ ხმოსნები ჩვენებურ ჩარჩულ ბურჟუაზიისა. ვთქვათ, პასუხის ღირსად არ გახადეს იგი ჩარჩული ფინანსისტი, რომელმაც დაუწუნა ფინანსისტობა ბ-ნ ხუდადოვს და დავჯერდეთ, რომ ამ მიზეზით ყური არავინ ათხოვა და სათანადო პასუხი არავინ უთხრა საბჭოში. „Новое Обозрѣніе“ რაღაა, რომ იგი (№ 4838) არამც თუ უარობს ხსენებულს ჩარჩულ საფინანსო საზრისს, არამედ კვერსაცა სცემს. მეორე სხოლიოში, რომელსაც ეგ ბრძენთა ბრძნული გაზეთი თ. გ. თუმანოვის ამქრისა უკეთებს ბ-ნ ხუდადოვის წერილსა, „Новое Обозрѣніе“ ამტკიცებს, რომ ქალაქის მიწები ტფილისში ფასს მოიმატებსო, პოლიტეხნიკუმი თუ გაიმართაო. თქვენვე გვიბძანეთ, შორს არიან ერთმანეთზე იგი ჩარჩული ფინანსისტი, რომელმაც ანგარიში დაუწუნა ბ-ნ ხუდადოვს, და „Новое Обозрѣніе“, რომელიც ამ ჩარჩულ თვალითვე ეტრფიალება პოლიტეხნიკუმს? „Новое Обозрѣніе“ ხომ ერთი ცალკე კაცი არ არის, იგი ორგანოა მთელის ამქრისა. რას იტყვით? როგორ მოგწონთ ეს მწყობრი გალობა ერთის მხრით საბჭოსი და მეორეს მხრით „Новое Обозрѣніе“-სი და მისის ამქრისა: პოლიტეხნიკუმს თურმე იმისთვის ეფოტინებიან, რომ ტფილისში უძრავი ქონება ფასს მოიმატებს. აბა ერთი სხვა მაგალითი გვიჩვენეთ სხვაგან, რომ უმაღლესის სასწავლებლის საჭიროება ამის მზგავსით რითმე არამც თუ დაესაბუთებინოთ, არამედ ამისი მზგავსი პირიდამ ამოეშვას ვისმე თავისდა სამარცხვინოდ.

სადაც უმაღლესს სასწავლებელზეა ლაპარაკი, იქ რა მოსატანია ამისთანა დუქან-ბაზრული ანგარიშები? განა რომ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია!..

ქალაქის მიწების ფასი აიწევს, თუ დაიწევს, განა ეს სახსენებელია იქ, საცა სწავლა-განათლებაზეა საუბარი? „Новое Обозрѣніе“, რა თქმა უნდა, თავისებურად დაგვიწრიპინებს, ჩვენ ეგა ვთქვით, იმიტომ-რომ ბ-ნმა ხუდადოვმა ჩვენს ქალაქს სიღარიბე დასწამაო, ფული ქალაქს არა აქვს და საიდამ მისცემთ პოლიტეხნიკუმს ყოველ წლივ სამი ათას თუმანსაო. ჩვენც პასუხად ვუთხარით, რომ რაკი პოლიტეხნიკუმი გაიმართება, ქალაქის მიწები ფასში აიწევს, და ამით Оцѣночный сборъ-ი მოემატება და სხვა შემოსავალიო (რომელი?). ნუ თუ ეს პასუხია და არა ცარიელი როშვა!.. ბ-ნი ხუდადოვი, მართალია, სწამობს ტფილისს სიღარიბეს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ თუ რამე გაქვთ ჯერ პირველ დაწყებითს სკოლებს მოახმარეთ, ეგენი გაამრავლეთო.

აი ამაზე რა სასაცილო პასუხს ეუბნება „Новое Обозрѣніе“: ბ-ნი ხუდადოვი მართალია, რასაც ამბობს პირველ დაწყებითს განათლების უნუგეშობაზე ტფილისშიო. მაგრამ ყოველ ამას არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტეხნიკუმის დაარსებასთანაო. გესმით? ფული არა აქვთ, რომ

პირველ დაწყებითი სკოლები მოიმატონ და წელიწადში სამი ათასს თუმანს-კი პოლიტეხნიკუმს აძლევენ და ამბობენ, აქ ერთს მეორესთან კავშირი არა აქვსო!.. ახ, ლოღიკავ, კაი საქონელი ხარ, მაგრამ სადა ხარ?

იმიტომ-რომ ტფილისში პოლიტეხნიკუმი არ იქმნას, ამითი არც პირველ დაწყებითი სკოლა გამრავლდება ჩვენში და არც ერთა-მოყვარენი მოგვემატებიანო, ამბობს „Новое Обозрѣніе“, რომ დაასაბუთოს თავისი უცნაური ნათქვამი კავშირის შესახებ. ერთი დაუკვირდით ამ საბუთში რამოდენა სულელობაა. რა თქმა უნდა, იმით, რომ ტფილისში პოლიტეხნიკუმი არ იქნება, პირველ დაწყებითი სკოლა არ იბღარტებს, ხოლო იმით-კი, რომ თუ სადმე სამი ათასი თუმანია, რომელსაც ქალაქი აძლევს პოლიტეხნიკუმს, და ეს ფული პირველ დაწყებითს სწავლა-განათლებას მოხმარდება, სკოლა იბღარტებს კი არა, მეტსაც იქმს.

ყველაზე უკეთესი სასაცილობა «Новое Обозрѣніе»-სი შემდეგშია. იგი ამბობს ბ-ნ ხუდადოვის მითამდა პასუხად: ქალაქი ჰპირდება პოლიტეხნიკუმს სამი ათასს თუმანს წელიწადში აწ არსებულ საშუალებიდამ კი არა, რომელიც დღეს აქვს, არც იმ ფულიდამ, რომელიც დღეს ხმარდება პირველ დაწყებითს სკოლებს, არამედ იმ ფულიდამ, რომელიც, თუ პოლიტეხნიკუმი იქმნა, შემოვა „оцѣночный сборъ“-იდამ, რადგანაც ქალაქელების უძრავი ქონება იმატებს და იმატებს სხვა შემოსავალიცაო პოლიტეხნიკუმის წყალობით. აქ „Новое Обозрѣніе“ არ გვეუბნება, ეს სხვა რა შემოსავალია, რომელიც პოლიტეხნიკუმის წყალობით იმატებს და ნურცა იკითხავთ, იმიტომ-რომ თვითონაც არ იცის, რომელ შემოსავლის მატება შეუძლიან პოლიტეხნიკუმს!

განა თქმა და განმარტება-ღა უნდა, რომ აქ თვითეული სიტყვა მარგალიტია იმისთანა უჭკუობისა, რომლის მაგალითი მარტო ,,Новое Обозрѣніе‘‘-ში თუ მოიპოვება, თორემ სხვაგან არსად.

„აწ არსებულ საშუალებიდამ კი არაო“ *). მაშ საიდამ? აწ არსებული საშუალება ხომ დღევანდელი შემოსავალია ქალაქისა. ამ შემოსავალს ხელს არ ვახლებთო, ბძანებს გაზეთი თ. გ. თუმანოვისა და მისის ამქრისა. რა რიგად იამება ეს ამბავი მისს ამქარს, თუ გაბრიყვდა და დაიჯერა!.. თუ არსებულს შემოსავალს ხელს არ ახლებენ, სამი ათასი თუმანი-კი არა, რატომ ასი ათასსაც არ ჰპირდებიანო, იტყვიან გაოცებულნი. მითამ რა ეხარჯებათ. ხომ ყინულზე დაწერილი თამასუქია ამისთანა ლათაიები და რაც ამისთანა თამასუქებით კუჭი გაიძღოს პოლიტეხნიკუმმა, ჩვენ იმაში წილს ნუ დაგვიდებენ.

თუ ესეთი როშვა „Новое Обозрѣніе“-სი მართლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ არის, მაშ რა არის შემდეგი სიბრძნე ამ უცნაურ გაზეთისა: „თუ პოლიტეხნიკუმი ქალაქში დაარსდება, ქალაქს ღონისძიება გაუძლიერდება: მამულების ფასი აიწევს; оцѣночный сборъ-ი იმატებს და იმატებს სხვა შემოსავალიცაო“. ვთქვათ, პოლიტეხნიკუმი დაარსდა. აბა ამოდენა ქალაქისათვის, საცა 160,000 სულია, იმოდენა რა თაბაუთსა იქმს ერთი, თუნდ ორი და სამი პოლიტეხნიკუმი, რომ ეს სასწაული მოახდინოს, ესე იგი, იმოდენად ასწიოს მამულების ფასი, რომ оцѣночный сборъ-მა, ან სხვა რამ შემოსავალმა 30,000 მანეთი დღევანდელზე მეტი შემოუტანოს ქალაქს.

მართალია, შეიძლება კაცმა იმედი იქონიოს, რომ მომავალში оцѣночный сборъ-მა და თუნდ სხვა გვარმა შემოსავალმა იმატოს, რადგანაც ქალაქი მკვიდრთა რიცხვით დიდდება, ალებ-მიცემობა ჰმატულობს და თვით ქალაქის მამულები, ვთქვათ, ათს წელიწადს შემდეგ მეტი ეღირება, ვიდრე ეხლა. მაგრამ ამნაირ მატებას თავისი ბუნებური გზა აქვს, თავისი დრო და ხანი უნდა და აქ ერთი თუ ორი და სამი პოლიტეხნიკუმი არაფერს შუაშია და, თუ არის, წვეთია ზღვაში. ან რა მანქანებით უნდა პოლიტეხნიკუმმა ხსენებული სასწაული მოახდინოს? მით, რომ ქალაქში ათი-ათასს, თუნდ ოცი ათასს თუმანს მეტ ფულს დაატრიალებს თავისს სახარჯოს? სხვა გზით ხომ განდიდება ქალაქის შემოსავლისა პოლიტეხნიკუმს, თუ სხვა რამ ამისთანა დაწესებულებას ბუნებაში არ უწერია. ამოდენა ქალაქში, საცა მილლიონები ჰტრიალებს, ეს ათი ათასი, თუ ოცი ათასი თუმანი, რასაც პოლიტეხნიკუმი ქალაქში თავისს საზრდოდ დახარჯავს, ვერაფერსაც ვერ დააჩნევს იმისთანას, რომ კაცმა იმედი რამ დაამყაროს ქალაქის შემოსავლის განდიდებისა. დიდი საბერველი უნდა, რომ ამ გზით სარგებლობა პოლიტეხნიკუმისა წელიწადში სამი ათას თუმნამდე გაჰბეროს. თუ ეს საბერველი ჰქონია „Новое Обозрѣніе“-ს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს.

კიდევ ვიტყვით: ზრდას ანუ კლებას მამულების ფასებისას, და აქედამ оцѣночный сборъ-ისას და სხვა შემოსავლისას თავისი გზები და გარემოებანი აქვს, თავისი დრო და ხანი და პოლიტეხნიკუმები ვერც ფეხს აუჩქარებენ და ვერც ძუძუს მიაწვდიან საზრდოდ იმ სახით, როგორც თ. გ. თუმანოვსა ჰგონია. ვის აბრიყვებს? თვითონ პოლიტეხნიკუმი ამოგვიხეთს იმ წყაროსა, რომელიც სამი ათასს თუმანს მეტს შემოსავალს მოგვიტანს წელიწადშიო. გაგონილა ამ სულელობამდე მიღწევა ჭკუათამყოფელ ადამიანისა!.. თუ პოლიტეხნიკუმს, თავისის უმაღლესის და წმინდა დანიშნულების გარდა, ეს სასწაულიც შესძლებია, გვიკვირს, ერთის მაგიერ რატომ ორი და სამი ან ამაზედაც მეტი პოლიტეხნიკუმი არ არის ყოველ დიდს ქალაქში. ეს ადვილი სახსარი ქალაქის შემოსავლის განდიდებისა და, მაშასადამე, გამდიდრებისა თ. გ. თუმანოვმა აღმოაჩინა პირველ და ქება-დიდება მისია და სხვა არავისი. რა ყოფილა, თქვენი ჭირიმე, ეს დალოცვილი პოლიტეხნიკუმი!.. იმის გარდა რომ კაცს კაცადა ჰხდის, თურმე ნუ იტყვით, მიკიტნისა და ჩარჩის უნარიცა ჰქონია: ჩარჩის გასასყიდს ფასს უმატებს და ჩარჩის სასყიდელს უკლებს. ბარაქალა, ღმერთმან იცის, თ. გ. თუმანოვს, რომ ეს დამალული უნარიც პოლიტეხნიკუმისა გამოამზევა.

მაშ ეგრე იცოდეთ ამას იქით: ქალაქი სამი ათასს თუმანს ჰპირდება ყოველ წლივ პოლიტეხნიკუმს და თ. გ. თუმანოვი ამას ზედ უმატებს: ამას არც ქალაქის არსებულ შემოსავლიდამ მოგცემთო, არც სკოლების ფულებიდამაო, და არც იქიდამ, რაც დღეს ხელთა გვაქვსო. შენ რომ დაარსდები და ტფილისში ბინას გაიკეთებ, მამულების ფასები იქამდე აგვიწიე, რომ оцѣночный сборъ მა და სხვა შემოსავალმა სამი ათასი თუმანი შემოსავალი მოგვიმატოსო და მაშინ, რაც დაგპირდით, მიირთვიო. ამაზე გულ უბრყვილო მორიგება-ღა იქნება! *) ჭკუა უნდა თუ არა ამ სიბრძნით სვლას!.. ჭკუისა რა მოგახსენოთ და ვაჟ-კაცობა კი დიდი უნდა, რომ კაცი ამ სიმსხო სულელობას დაებღაუჭოს. თ. გ. თუმანოვს თითქო უკვირს კიდეც (მოდი და ნუ გაიკვირვებთ), რადგანაც ამბობს, ყოველივე ეს საბუთები გადუშალეს (ნუთუ?) საბჭოში ბ-ნ ხუდადოვსა და მაინც ვერ გასტეხეს, როგორც სჩანს.

ჩვენ ამ პოლიტეხნიკუმზე დავიწყეთ ლაპარაკი არა იმისთვის, რომ ან საბჭო, ან ხუდადოვი გაგვემართლებინა. ეს საქმე უკვე გათავდა საბჭოში და ეხლა დროს დავაცალოთ რა იქნება ხოლო თუ საბჭომ დაპირებული სამი ათასი თუმანი, თ. გ. თუმანოვის სიტყვისამებრ, მართლა იმ ყინულზე დაწერილ თამასუქს ჩიაჩუმა, იცადოს მინამ მუხა ვაშლს დაისხამდეს, ან ამ თამასუქიდამ თ. გ. თუმანოვი ოქროს ზოდებს გამოადნობდეს და ან „Новое Обозрѣніе“ ჭკუას ისწავლიდეს.

*) აი ნამდვილი სიტყვები „Новое Обозрѣніе“-სი ამ საგანზე: Городъ обѣщаетъ давать будущему политехникуму по 30 т. руб. въ годъ не изъ наличныхъ своихъ средствъ, не изъ тѣхъ средствъ, которыми поддерживаются начальныя школы, а изъ тѣхъ, которыя городъ получитъ въ случаѣ открытія политехникума: отъ возвышенія цѣнности городскихъ земель, у величенія оцѣночнаго сбора и другихъ доходовъ.

*) ჩვენ ვურჩევთ ერთი „ნესტორიკის“ ქაღალდიც ჩამოართოს თ. გ. თუმანოვმა პოლიტეხნიკუმს, თუ პირობა ვერ შეუსრულა. რომ ვერ შეუსრულებს მაგ პირობას პოლიტეხნიკუმი, ეგ ბაშვისათვისაც აშკარაა და მაშინ „ნესტორიკა“ განაღდდება და აი კიდევ მოგება...

---

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წლეთა შესრულებისა გამო ტიტულიარნი სოვეტნიკობა—სოხუმის ოლქის გამგეობის ბუჰჰალტერს ელიავას; გუბერნსკი სეკრეტრობა—ართვინის ოლქის ართვინის ნაწილის გამგეობის მწერალს კადიეიშვილს.

---

# ახალი ამბავი

⁂ ამ წლის 19 თებერვალს სრულდება ოც-და-ათი წელიწადი, რაც კავკასიაში შემოღებულ იქმნა განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მეორეს სასამართლო წესდებანი. ამავე დღეს უსრულდებათ ოც-და-ათი წელიწადი სამსახურისა ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრს ბ-ნს გ. ბ. წინამძღვრიშვილს და მომრიგებელ-მოსამართლეებს ბ-ნთ ი. ი. წინამძღვრიშვილსა და ნ. დ. ზუბალაშვილს. საყურადღებო აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ოც-და-ათის წლის წინად, 1868 წელს, სასამართლო წესდებათა შემოღების პირველ დღიდგან ბ-ნი გ. ბ. წინამძღვრიშვილი ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად იქმნა დანიშნული და დღემდე ამ თანამდებობას ასრულებს, ბ-ნი ი. ი. წინამძღვრიშვილი ამავე ხნის განმავლობაში სულ ტფილისის მესამე მომრიგებელ-სასამართლოს მოსამართლედ არის, ხოლო ბ-ნი ნ. დ. ზუბალაშვილი — მცირეოდენს ხანს გორში იყო, შემდეგ ტფილისის მეოთხე ნაწილის მომრიგებელ-სასამართლოს მოსამართლედ იქმნა დანიშნული და დღევანდლამდე ამ თანამდებობას ასრულებს.

⁂ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, ხუთშაბათს, 5 თებერვალს, ქართული დრამატიული დასი ამ დასის არტისტის ბ-ნ შათირიშვილის საბენეფისოდ წარმოდგენასა ჰმართავს. წარმოდგენილი იქნება შილლერის შესანიშნავი დრამა „ავაზაკები“, თარგმნილი ნ. ავალიშვილის მიერ. ფრანც მოორის როლსა თამაშობს ბ-ნი კ. მესხი, ხოლო კარლ მოორისას—თვით მობენეფისე. რამდენადაც გვახსოვს, ამ დღეს პირველად ითამაშებს ბ-ნი შათირიშვილი დრამატიულს როლს. ბ-ნი შათირიშვილი კარგა ხანია, რაც ქართულს სცენაზედ ჰმოღვაწეობს, და ყოველთვის სინიდისიერად ეკიდება თავისს მოვალეობას.

⁂ ქართულის დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულს 2 თებერვალს ბალს დაესწრო აგრეთვე კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, რომელმაც ხსენებულ საზოგადოებას 100 მანეთი შესწირა, და მისი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე.

⁂ ორშაბათს, 2 თებერვალს, მთავარმართებელს წარუდგა ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის მიერ გაგზავნილი დეპუტაცია, სახელდობრ: მოურავის თანამდებობის ალმასრულებელი ა. ა. ივანენკო, ხმოსნები ნ. ნ. ოსტროგორსკი და თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკი და მოახსენა ქალაქის თვით-მმარ-

---

# ფელეტონი

## დღეობა

(მოთხრობა)

### I

დამდეგ მარტის თოვლ-ყაპყი ვერცხლის მტვერივით გადაჰფარებოდა სოფელს მ—ნს და ლილის ფრად მოკამკამებულ ცის მთვარე-ვარსკვლავთაგან გაცისკროვნებული მისი მთა-ველნი ახლად მოჭრილ ოქროსავით ჰბზინვარებდნენ საამურად. მთელი სოფელი განთიადის ღრმა ძილში წასულიყო და ადამიანის ხმაჩქამი აღარსაიდამ ისმოდა; მხოლოდ აქა-იქ მამლების ყივილი და ძაღლების ყეფა-ყმუილი არღვევდა ღამის ღრმა სიჩუმეს. ცისკიდურიდგან ამოჩირაღდნებულო, სხივ-მომფინარე ცისკარი ანუ, როგორც „მინდვრის ხალხი“ ეძახის: ჰყიტა ვარსკვლავი გიზგიზა ცეცხლივით ენთებოდა და ოქროს ბუქ-ნაპერწკლებს აბნევდა ჰოლოაანის მთის კორწოხზედ დაბჯენილ ლაჟვარდოსან ცაში, საიდგანაც მდელოთა შორის ახლად გაშლილ ია-ენძელას სურნელებით გაჟღენთილი ნელი ნიავ-ქარი მოწიწინებლა საამებლად და ტკბილად ჰბნედავა გამოღვიძებულ სულდგმულთა ყნოსვას.

მთვარე-ვარსკვლავებს მუქი ნარგიზფერი გაუბაცდათ, გაუცრიაკდათ, უიმედოდ შეყვარებულ ქალივით ფერი გამოელიათ, ცა მტრედის ფრად გარიჟრაჟდა და ჩვეულებრივად აჟრიამულდა ახლად გამოღვიძებული სოფელი: ცისკრის ზარების წკარიწკური ასტეხეს, მამლებმა ყივილს მოუხშირეს, ძაღლებმა განჩხლებული ყეფა-ყავყავი გაბეს, გზებიდგან ურმების ჭრიალი და მეურმეების ტკბილი-ღუღუნა ჰოროველა მოისმა, ვირებმა საშინელი ღრიალი მორთეს ოთხსავ-კუთხივ, ცხენებმა—ჭიხვინი, ძროხებმა—ბღუილი, ღორებმა—ჭყივილი, ცხვრებმა—ბღავილი, ვენახმინდორში სამუშაოდ წამსვლელებმა გაღმა-გამოღმიდგან ამგვარი ყვირილი ასტეხეს: „ჰაააი, გიგლიავ, ჰაჰააააეეე“!.. „მოვდივარ, მოოო!..“ და დედაკაცებმაც მეზობლებს ასეთი ხმა გაჰმულის კილოთი უწყეს ძახილი: „პა-რა-სკოოო!..“

— ღვთისა და ბატონის ქარცეცხლი თქვენს თავ-ტანს! ფუ!.. გესლიანად წარმოსთქვა გამოფურთხვით ქალაქიდგან სოფლის მღვდელთან სტუმრად მოსულმა, ძილ-დამფრთხალმა „ჩინოვნიკმა“ ვალოდია გოგიტიჩ ჭამიაშვილმა, გაზარმაცებულის ქშენვით და მთქნარება-ზმორვით გადაბრუნდა მეორე გვერდზედ კურკონაჭამ ტახივით გასუქებული და დაიწყო კოშინით ლაპარაკი გულ-გაჯავრებულმა თავისთვის:

— ვის მიუქარავ: ქალაქში მოქანცული ადამიანი სოფლად დაისვენებსო?!. ჯერ ცაში ნათელი არც-კი ჩავარდნილა, ადამიანის დაღალულმა ჯან-გონებამ ამ დროს უნდა მოიკრიბოს ძალ-ღონე განთიადის ტკბილის ძილით—და სწორედ ამ ხანში ათასის ორფეხა და ოთხ-ფეხა ვირების ღრიალ-ყვირილი და ორონტრიალი გაფეთიანებს ნამძინარევს, გიფრთხობს ტკბილს ძილსა და მოსვენებას ყურებ-გამოჭედილს და ისე გაბრაზებს ცუდ-გუნებაზედ გამხდარს, რო მეორე დღეს მკვდარივითა ჰხდები უძილობისაგან და ყველას ხალისი და ჭამა-სმის მადაც-კი გეკარგება!.. კიდევ კარგი, რო ჯერ რწყილბაღლინჯოები და კოღო-მუმლები არ დაცოცხლებულან, თორემ ისინი კიდე მშიერ წურბელებივით დაგეხვეოდნენ, ერთს ვედრა სისხლს გამოგწოვდნენ და მთელ ღამეს ცერცვივით გახტუნებდნენ ლოგინში! ფუ!.. ღმერთმა ესენიც შეაჩვენოს, ამათი სოფელიც და აქლა მომსვლელიც!.. ბრაზ-მორეულად დააბოლოვა უნივერსიტეტის დიპლომის წყალობით ჯიბე-მუცელ გასქელებულმა „ჩინოვნიკმა“ ვალოდია გოგიტიჩ ჭამიაშვილმა და ისე გულიანად დაამთქნარა და იმოდენა ყბა დააღო საშინლად, რომ მთელი შემწვარი ბურვაკიც ვერ ამოავსებდა მისს უზარმაზარს სიღრმე-სიგანეს.

— ვალოდია, ვის ელაპარაკები, გენაცვა?—გატკბილნაზებულის ხმით შეეკითხა ქმარს ბულკის ცომივით გაფუებული ეკატერინა ქაიხოსროვნა

თველობის შუამდგომლობა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

⁂ გუშინ წინ, 3 თებერვალს, აკურთხეს სატეხნიკო სასწავლებელთან დაარსებული მოსწავლეთათვის საზოგადო საცხოვრებლად ახლად დაარსებული შენობა. კურთხევას დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინი, თავ. ი. გ. ამილახვარი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ე. ლ. ვედენეევი, მე-2 გიმნაზიის დირექტორი დრბოგლავი და სხვანი.

⁂ ტფილისის საკომერციო ბანკიც აპირებს ბანკის შემოსავლიდგან იმდენივე თანხა გადასდოს მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის, რაც საკრედიტო საზოგადოებამ გადასდო, სახელდობრ 50,000 მანეთამდის.

⁂ შაბათს, 31 იანვარს, ბნ-მა პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა ყველა ბოქაულს, რომ პირველ ნაწილის გარდასახადთა ინსპექტორს, რომელიც გარდასახადის უძრავ ქონების კვალობაზედ გაწერვის შესახებ დაარსებულ კომისიის თავმჯდომარეა, ორის კვირის განმავლობაში იმ მემამულეთა სია წარუდგინეთ, რომელთა სახლებშიაც სიძველისა გამო აღარავინა სცხოვრობსო.

⁂ დიდი ხანი არ არის, რაც მთავარ-მართებლის საბჭომ ამიერ-კავკასიის გუბერნატორების თანადასწრებით განიხილა პროექტი ცვლილების შემოღებისა სამაზრო საპოლიციო დარაჯთა შორის. პროექტი წარედგინება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც სახელმწიფო საბჭოს გაზაფხულის სესსიას წარუდგენს განსახილველად.

⁂ როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო საზღვარ-გარეთიდგან უგარდასახადოთ 3,100 ფუთი შაბიამანი ტფილისისა და ერევნის გუბერნიების ვენახების საწამლებლად. რადგანაც ერევნის გუბერნიაში ვაზის სენი სულ არ არის გავრცელებული და შაბიამანი არა სჭირდებათ, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ გაუგზავნა სადამოჟნო გადასახადთა მომკრებ დეპარტამენტს დეპეშა, რომელშიაც სთხოვა, ნება მოგვეცით შაბიამანი კავკასიის სხვა გუბერნიების მცხოვრებელთაც დაუთმოთო. მაგრამ დეპარტამენტმა უარი გამოაცხადა და შემოუთვალა, რომ უგადასახადოთ შაბიამანის შემოტანა უმაღლესად ნება დართული მხოლოდ ტფილისისა და ერევნის გუბერნიებისათვისააო.

⁂ გაზ. „ტფ. ფურც.“ სწერენ პეტერბურგიდგან, რომ ამ მიმდინარე თვეში მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო განიხილავს ახალს პროექტს ამიერ-კავკასიაში სასკოლო გარდასახადის შემოღების შესახებაო.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ სოხუმიდგან, რომ ადგილობრივის სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა შორის ძალიან არის გავრცელებული ყვავილით და წითელით ავადმყოფობაო.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ამიერ კავკასიის რკინის გზის ბორჯომის შტოს გაგრძელება 20 ვერსის მანძილზედ განიერ ლიანდაგიანი იქმნება, ხოლო იმის შემდეგ ბაკურიანამდე—ვიწრო ლიანდაგიანი. შტოს გაყვანას ამ წლის გაზაფხულზედ შეუდგებიანო.

⁂ სოფ. მეტეხი, (გორის მაზრა). ლამის უბედურება დატრიალდეს აქ და მშველელი დღემდის არსაიდანა სჩანს. ერთს ფეხ-მძიმე დედაკაცს მეტის-მეტის ჯაფისა და შრომისაგან ყმაწვილი მოსწყდა. ბავშვის დასაბადებლად გაჭირვებულ დედაკაცთან მოიყვანეს მეცხვარე, როგორც დახელოვნებული და მცოდნე. ამ ბებიამ მხოლოდ ბავშვის თავი დაჭბადა და ტანი-კი დღესაც თავისს ადგილასაა დარჩენილი. თითქმის ერთი თვეა ამ მდგომარეობაშია დედაკაცი, არცა კვდება და არცა რჩება. ჰშფოთავს, ჰგმინავს და იტანჯება საბრალო. თუ რიგიანი და მადლიანი ექიმი შეჰხვდა, იქმნება ეშველოს რამე, მაგრამ უბედური კაცის საქმე მხოლოდ ღმერთზეა ხოლმე მინაბრებული.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა 2 თებერვალს უბრძანა ყველა ბოქაულებს, რომ შეიპყარით და წარმომიდგინეთ გამგეობაში ყველა ისინი, ვინც მათხოვრობითა და მაწანწალობით სცხოვრობს ეტაპით თავიანთ სოფლებში გასასტუმრებლადაო.

⁂ იმ კომისიამ, რომელსაც პურისა და ხორცის ნიხრის დაწესება აქვს მინდობილი, დაადგინა ძროხის ხორცს მოუმატოს ერთი კაპ. 7 კაპ. მაგიერ 8 კაპეიკი გახადოს.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, სხვათა შორის, მასწავლებლობის მოწმობა მისცა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის მე-V კლასის მოსწავლედ ნამყოფს მატრ. კერვალიშვილს.

---

## იმერული ჭრელი წერილები

ამ სათაურით მინდა „ივერიის“ მკითხველებს რაც შეიძლება მოკლედ ვაუწყო საყურადღებო ამბები იმერეთის ცხოვრებიდგან. გაჭიანურებული ლაპარაკი ერთობ მძულს, ან ვისა აქვს იმდენი დრო და მოცალება, რომ მარტივი ამბავი გრძლად მოისმინოს? მაშ პატარა ხანს სმენა და გაგონება!

ამ დღეებში იმერეთის სატახტო ქალაქს ქუთაისში გაირჩა ფრიად შესანიშნავი სისხლის სამართლის საქმე. პოლიციის მოხელეს ვიქტორ ახვლედიანს ოლქის სასამართლომ გარდაუწყვიტა ყოველის ღირსების ახდა და ექვსის წლის ვადით კატორგაში გაგზავნა. ეს სასჯელი ვ. ახვლედიანს მიესაჯა სასჯელთა დებულების მე-942 და 237 მუხლების ძალით. იურისტი არ გახლავართ, რომ ვიცოდე ეს მუხლები რას ჰლაპარაკობს, მაგრამ ვფიქრობ-კი, რომ იმ შინაარსის უნდა იყოს, რაც ერთს რუსულს ანდაზაშია: „Не рой другому яму, самъ въ нее попадешь“, ანუ, ქართულად რომ ვთქვათ, სხვის ორმოს მთხრელი შიგ თითონ შთავარდებაო. დიახ! ეს რუსული ანდაზა ზედ გამოჭრილი და გამოკუთხედებულია ვ. ახვლედიანის განსამართლებლად.

ამ სამის წლის წინედ ვ. ახვლედიანმა მოინდომა ერთის შეძლებულის რაჭველის გლეხის ა. ჯოხაძის კატორგაში გაგზავნა. კანონი რო არ შეეხო ა. ჯოხაძეს და გამოძიების შემდეგ ოლქის სასამართლომ ვ. ახვლედიანის შეთხზული საქმე მოსპო, ახვლედიანმა ა. ჯოხაძის მეუღლე დაფინა გაამზადა კატორგაში გასაგზავნათ. ოლქის სასამართლომ რომ ა. ჯოხაძის მეუღლეც გაამართლა, ბოლოს ვ. ახვლედიანს დაატყდა თავზედ ის დანაშაული, რაც მას ცოლ-ქმარ ჯოხაძეებისათვის უნდოდა.

არა მკითხავთ—რა მიზეზი ჰქონდა ვ. ახვლედიანს, რომ უდანაშაულო ჯოხაძეებს კატორგაში უსაჭებდა? საქმიდგან ცხადად გავიგეთ, რომ ვ. ახვლედიანს სამსახურში დაწინაურების სურვილი ერთობ გასჯდომოდა ძვალსა და რბილში. უწინ პოლიციაში ვ. ახვლედიანს მცირე სამსახურის ადგილი ეჭირა. შემდეგ „წერეთლის აბაზიანებმა“ ქალაქის პოლიციელობა (околоточный надзиратель) მიაღებინა და ეხლა ყალბის სამ მანეთიანებით პოლიციის ბოქაულობა უნდოდა გაეკრა. მაგრამ მისს სურვილს ნახტომი შეუშალეს. ვერ დაამტკიცა, რომ ჯოხაძეებს ვითომც ყალბი სამმანეთიანები ჰქონოდეთ. პირიქით, ცხადად აიხსნა, რომ თვით ვ. ახვლედიანს ჰქონია საიდგანღაც მოპოვებული ყალბი ბილეთები, აქაიქ ხალხში კიდეც გაუსაღებია და ბოლოს დროს თავის დანაშაულობა ჯოხაძეებისათვის მოუდვია. ვისაც ეინტერესებოდეს ამ საქმის ვრცლად გაგება, იმას ვურჩევ თვით სასამართლოს მატიანე წაიკითხოს, რომელიც „ივერია“-შიაც იბეჭდება, და სარკესავით დაინახავს რა სამარცხვინო და გასაკიცხავ საფუძველზედ არის აგებული ჯოხაძეების საქმე და ვ. ახვლედიანის მოქმედება.

კვესიაშვილი

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. თიანეთი**, 2 იანვარი. თიანეთელებს ორი საზოგადო დაწესებულება გვაქვს: დეპო და წიგნთ-საცავი, ანუ სამკითხველო. ამ დაწესებულებათ გარდა იყო კიდევ ამ სოფელში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობაც, მაგრამ ჩაილურის წყალი დალია. მაშ უწინდელ მარცხისგან შეშინებულებს ეხლა კარგა უნდა გვქონდეს დაყენებული ერთისაც და მეორის საქმე. ასე უნდა გვქონდეს, მაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ მიუღწევია თავისს დანიშნულებამდე. დეპოში გლეხები ვერ მიკიზიდეთ, რადგანაც ჯერ დაშინებულებს არა სწამთ, რომ კარგი ბოლო ექნებაო, მეორე კიდევ იმიტომ უდგებიან განზე დეპოს, რომ გლეხი-კაცი გაჰზრობს ან ნისიად, ან კიდევ ბაცვლით: კვერცხსა, ქათამს, ინდაურს, ქერს, პურს და სხვ. ამლევს და სხვა საქონელი მიაქვს. დეპო ამაებს არ იღებს, ნისიად წაღება დეპოს ვაჭრობას დაამრკოლებს, რადგანაც გლეხს არ შეუძლიან კალი მალე დაუბრუნოს დეპოს, ან კიდეც რომ წაიღოს ნისიათ წლამდე, რას უზამს 5 მანეთი. მეტის გატანა-კი არ შეუძლიან წესდების ძალით (წლის ფულის ნახევრის ნება აქვს), ორსა და სამს ბაის გლეხი, ისიც თიონელი, ვერ აიღებს. ამ ნაირად ვისთვისაც უფრო საჭირო არის დეპო, ის განზე უდგას და „გასპარას“ არა ჰშორდებიან. დავრჩით ისევ ისინი, ვინც გაჭირვებულნი ვიყავით, ოთხა-ხუთის შემომატებულ წევრის გარდა.

სამკითხველოს დანიშნულება ის უნდა იყოს, რომ გაუადვილოს საზოგადოებას გაზეთ-ჟურნალისა და სხვა-და-სხვა წიგნების კითხვა, მაგრამ ვაი თქვენს მტერს, რომ ჩვენი სამკითხველო ამას ვერ ახერხებდეს. ჩვენი სამკითხველო-კი არ გვიადვილებს კითხვას, გვიძნელებს. აი დღეს, იანვრის 22-ია და „ივერია“ მესამე ნომრის მეტი ჯერ არ მინახავს თვალით. სამკითხველოში მაშინ ჰნახავ გაზეთ-ჟურნალს, თუ დარაჯად დადგები და მოტანისთანავე წაავლებ ხელს. ეს იმიტომ მოგდის, რომ სამკითხველო არა გვაქვს გამთბარი და განათებული, რომ იქ მივიდეთ და წავიკითხოთ, ამისათვის ყველა სახლში მიაბრძანებს და დაბრუნებას ბევრი არა ჰფიქრობს და მომკითხავი-კი არავინ არის. ან ვინ უნდა მოიკითხოს, რომ არავინა გვყავს? საკვირველი ხალხი ვართ ეს ქართველები, აქაო-და სამკითხველოსთვის სახლი დაგვითმო ივანე ჭიბალაშვილმაო, მართვაც იმას მოვახვიეთ თავზე. თუმცა ბ-ნი ჭიბალაშვილი ერთგული მუშა არის ყველა მისდამი მინდობილ საზოგადო საქმისა, მაგრამ რა ჰქმნას ერთმა კაცმა, დეპოს მოურავს, სამკითხველოს თუ თავისს საქმეს? კარგი იქმნება, რომ როგორმე ავიცილოთ თავიდგან ეს დაბრკოლება და არც ძალიან მეტად დაგვიჯდება: ერთის პატარა წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილის დაჭერა და სამკითხველოს გათბობა დაგვიჯდება წელიწადში 50 მანეთი, და, თუ უწინდელივით გულ-მოდგინეთ მოვეკიდებით საქმეს, ეს ფული სამის წარმოდგენიდგან შემოვა, რომლებსაც დიდის სიამოვნებით ესწრება თიანეთის საზოგადოება. მართალია, თიანეთის მანდილოსნებს როგორღაც სცენაზედ გამოსვლა ეზარებათ, მაგრამ ეს იმას უნდა მიეწეროს, რომ მოთავე არავინა სჩანს. გგონებ, დრო არის ყველა შეძლებისდაგვარად ვეცადოთ, და ვისაც როგორ შეგვიძლია, შრომით თუ ფულად, აღმოუჩინოთ რამე წყარო ჩვენს სამკითხველოს, რომ კარი სულ ღია იყოს და არათუ ჩვენ გვკმაყოფილებდეს, ვისთვისაც კითხვა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, არამედ კიდეც უღვიძებდეს ხალხს კითხვის სურვილს.

ხოტეველი

---

გამოღვიძების უმალვე და თან დიმპლიპიტოს ტყავივით მოტვლეპილდაბრწყინებულ თავზედ ხელი გადაუსვა ალერსიანად.

— არავის, შენ გენაცვალე, ჩემო სულიკო, საშინლად მაბრაზებს, რომ სოფლის საზიზღარი ცხოვრება ტკბილს ძილსა და მოსვენებას გვიფრთხობს ეს ერთი კვირაა, და ამისათვის უმჯობესია ჩქარა წავიდეთ ტფილისში, —უპასუხა ვალოდია გოგიტიჩ ჭამიაშვილმა, ბროლის კისერს ქვეშ მარჯვენა მკლავი გაუტარა, თავისკენ მიიზიდა, ნაზად აკოცა განებივრებულს ცოლს ჯერ თეთრს შუბლზედ, მერე შავ-ბრიალა თვალებში, ახლა აჭიაფრებულ მარწყვის ტუჩებზედ, ბოლოს ალერსიანად უთხრა: დაიძინე, ჩემო ანგელოზო ცისაო, და თითონაც თვალები დახუჭა დასაძინებლად, მაგრამ სწორედ ამ დროს იქვე მღვდლის მეზობლის ქოხიდამ ისე ძლიერად დაიღრიალა სოსია ბარდიგლეჯიაშვილის ვირმა, რომ ელდანაცემი ეკატერინა ქაიხოსროვნა ერთს მტკაველზედ შეხტა ქვეშაგებში და ძალზე ჩაეწმახა ქმარს გულში შიშისაგან აცახცახებული.

—ფუ!.. კიდევ მრისხანე გამოფუფთხვით წარმოსთქვა თავ-მოტვლეპილმა ჩინოვნიკმა ჭამიაშვილმა და ისე მოსისხლე აფთარივით აენთო და აუბრიალდა ბაყაყის თვალებივით გამობერილი მოყვითალო თვალები, რომ კბილით დაჰგლეჯავდა იმ ვირს საბოზბაშო ლავაშივით ნაჭერ-ნაჭერ, იმ წუთას რომ ხელში ჩაჰვარდნოდა სიბრაზის ცოფით კბილებ-აკრაჭუნებულს. ერთის სიტყვით, ისე ძალზედ დუღდა და გადმოდიოდა ბრაზიანის შხამ-გესლით ჩვენი ჩინოვნიკი ჭამიაშვილი, როგორც მსოფლიო მწერალ-გენიოსის ნაწერები დუღს და გადმოდის ცოდვილის ქვეყნის სიმუხთლე-ჭირ-ვარამით.

— ოჰ! რა უბედურებაა, მართლაც ერთი ჩქარა წავიდეთ აქედგან, გენაცვა, ვალოდიაჯან! სიყვარულით შეევედრა მშვენიერი ცოლი, მგზნებარე ვნების ღელვით ათრთოლებული ტუჩებით აკოცა ქმარს რამდენჯერმე ლოყაზედ ისე მხურვალედ, თითქოს გახურებულის რკინით დაუდაღეს ლოყაო, მაგრამ რადგანაც სიბრაზის ცოფით თავ-დავიწყებულ „ჩინოვნიკს“ ჭამიაშვილს ცოლის ალერსისათვის აღარ ეცალა, ამისათვის ეკატერინა ქაიხოსროვნამ, რომელსაც ყველი-პარია კატასავით უზიმზიმებდა შავი-ბრიალა ნამძინარევი თვალები, სამაცდურო მომხიბლავად ზმორვა დაიწყო და გულ-წარმტაცი მთქნარება მოაყოლა მძივ-მაგალიტის კბილების გამოჩენით.

— ღვთის ცეცხლი, დარდუბალა და ზახრუკუტუმა თავში! რა გაღრიალებს, შე მგლის მუცელში გასავლელო!.. დაყვირების უმალვე გულჯავრიანად მიაძახა ქოხის წინა-კუთხეში ბაგაზედ მიბმულს ვირს სოსია ბარდიგლეჯიაშვილის ცოლმა მარიამმა, რომელიც ახლად ამდგარი ცეცხლა-პირას, ჰრაქის სინათლეზედ, მატყლს ართავდა ჯარაზედ, მაგრამ ვირმა თითქოს იწყინა პატრონის რისხვა-წყევლაო, უფრო საშინლად დაიყვირა ხმა გაგრძელებით და მოაყოლა დანიჟებული როყინი ფეხის ცემით და მიწის ჩიჩქნით.

— ჩუშ, ჩუშ, ჩუუუშ!.. შე საცეცხლნავთე!.. გაჩუმდი, ვირო, შე ჩანაგო და შე პატრონ-გამქრალო, რა ძაღლის ყბას გამაიბამყე და აღარ იცი დადგომა, შე ტიალო, შენა!.. ვიშ, ნეტავი ერთი მალე მოთბეს და მოგაზაფხულდეს, რო დაგღუპო სახლიდამ, შე ჟამ-შამდგარო და ამოწყვეტილო. შენი ღრიალ-როყინით გული გვაქ გაწყალებული, და სახლი კიდე ხო აბზარებული და წაპილწულია შენგან და მკლავები მაქ დაწყვეტილი იმის ხვეტა-წმენდით, შე გასავერანებელო, შენა!.. ურისხდებოდა ვირს მარიამი, მაგრამ ვირი აინუშიაც არ იგდებდა პატრონის ჯავრობას და თავისას არ იშლიდა: უფრო დანიჟებით ჰყვიროდა და ისე მწუხარედ, ისე გულ-დაწყვეტით როყინებდა და სლოყინებდა სხვა-და-სხვა კილოზედ მოწვრილებული და მომსხვილებულის ხმით, რომ თითქოს ვინმე გულის მზემთვარე საყვარელი მოჰკვდომია და ამიტომაც ასე გულ-ამომჯდარი სლუყსლუყებს, ქვითინებს და ტირისო.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთი

**კრიტი.** კვნიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „Daily Telegraph“-ს: „იმ სადიპლომატო შეტაკებამ, რომელიც საბერძნეთის მეფის შვილის გიორგის კანდიდატურამ გამოიწვია, მეტად მკაცრი ხასიათი მიიღო და ეხლა ყოველ ღონესა ღონობენ, რომ ამის გამო ევროპის კონცერტი არ დაიშალოს. აზრადა აქვთ წინადადება წარუდგინონ სახელმწიფოთ, რომ დანიშნულ იქმნას დროებითი გუბერნატორი, რომელიც ელჩების მიერ შემუშავებულ წეს-რიგს შემოიღებს კრიტში. მაგრამ ეს წინადადება არ იქმნება მიღებული, რადგანაც რუსეთი ძალიან შორს წავიდა და იმის უკან დახევა ეხლა თითქმის შეუძლებელია. მეორეს მხრივ, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მეფის შვილს გიორგის შეუძლიან კრიტში სახელმწიფოთა და სულთანის ნება დაურთველად გაჩნდეს. თუ ეს მოხდა, კრიტის საქმეს მეტის-მეტად სერიოზული შედეგი ექმნება“.

— ათინიდგან ატყობინებენ „Times“-ს: „მეფის შვილის გიორგის კანდიდატურის საქმემ წინ ვეღარ წაიწია; აღმოჩნდა, რომ თუმცა რუსეთმა მტკიცედ გადაწყვიტა ამ წინადადების განხორციელება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჰფიქრობს, ვაი თუ სულთანი ვერ დავიყოლიოთო“.

— კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტი გაზეთს „Daily Mail“-ს სწერს, რომ, როგორც ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყე, სახელმწიფოთ გადაწყვიტეს გადასდონ რამდენისამე ხნით კრიტისა და გიორგის კანდიდატურის საქმე და ჯერ-ჯერობით თესალიის საქმის განწეს-რიგებას შეუდგნენო. იგივე გაზეთი იუწყება, რომ ჩხუბი და ჟლეტა-ხოცვა თესალიელ გლეხ-კაცებსა და ოსმალეთის ჯარის კაცთა შორის ჯერ არ მოსპობილაო.

## სასამართლოს მატიანე

ცრუ მოწმობა

(შემდეგი *)

მოწმე სერეპუტოვსკი. მართალია, რომ ახვლედიანმა გადასცა ყალბი სამ-მანეთიანი წერეთელს შამპანურის მოსატანად. მე საშინლად ამაღელვა იმან, რომ პოლიციის მოხელე თვით ავრცელებდა ყალბს ფულს. ბრალდებული ახვლედიანი და სვიმონოვი მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ. მე ვნახე სვიმონოვის წერილი, რომელშიაც ის ახვლედიანს „ძმაო“-ს ეძახდა. სვიმონოვი ახვლედიანს ხშირად საგანგებო საქმეების შესრულებას მიანდობდა ხოლმე. ამის მიუხედავად, დაფინე ჯოხაძის საქმის გარჩევის შემდეგ, ეს დამოკიდებულება მათ შორის სრულიად შეიცვალა. სვიმონოვი დაშორდა ახვლედიანს, გადაემტერა და ხშირად უბრალო რამეზედ აპატიმრებდა ხოლმე და სხვა. ერთხელ ახვლედიანმა მითხრა, რომ მახეში გამაბეს, მომატყუესო. ამას ისიც დაუმატა, რომ თუ ჩემი საქმე ცუდად წავიდა, არც სხვას დაეყრება კეთილიო. როდესაც თავმჯდომარემ ჰკითხა, ვინ „სხვა“-ზედ ამბობდა ახვლედიანიო, მოწმემ გაიგო, რომ ბრალდებულს აზრად სვიმონოვი ჰქონდაო...

მოწმე პოლიცმეისტერი სვიმონოვი. 1893 წელს მე ქუთაისის პოლიცმეისტერად დამნიშნეს. როდესაც ქუთაისში წამოვედი, „ტფილისის“ სადგურზედ ობერ-კონდუქტორმა გადმომცა ყალბი სამ-მანეთიანი, რომელიც იმისთვის ქუთაისის გზაზედ ვიღაცას გარდაეცა. ქუთაისში რომ ჩამოვედი, შემთხვევით წავაწყდი ჩხუბს მეეტლესა და მგზავრს შორის „წერეთლისეული ფულის“ გამო. მივედი, დავხედე ფულს, რომელიც ნამდვილად მეჩვენა, თუმცა ცოტა გაცრეცილი იყო. შემდეგ ბოქაულთა კრებაზედ ვკითხე, რა არის ეს „წერეთლის ფული“-მეთქი, ამასთან ყალბი ფულიც ვაჩვენე და ვთქვი, რომ ამ ფულს უთუოდ ქუთაისში ამზადებენ-მეთქი, მაგრამ არავინ არაფერი სთქვა, მხოლოდ ვიღაცამ წამოიძახა, რომ ვიქტორასაც (ბრალდებულს) აქვს ყალბი ფული და დაეძებს იმისს მჭრელებსაო. შემდეგ ტფილისში წავედი და როდესაც უკან დავბრუნდი, ახვლედიანი დავიბარე და გამოვკითხე ყალბის ფულის ამბავი. ახვლედიანმა ექვსი ცალი ყალბი ქაღალდის ფული მაჩვენა და მითხრა, რომ აქ არის ერთი დედაკაცი, რომლის ქმარმაც იმიერ-კასპიის მხრიდგან ყალბი ფული მოიტანაო.—შემდეგ სვიმონოვმა შეამოწმა ყველა ის, რაც ოქმში იყო აღნიშნული. მე წულუკიძეს მივანდე დაუყოვნებლივ დაებარებინა დაფინე და გამოეკითხა ყველაფერი, რომ ვერაფრის დამალვა ვერ მოეხერხებინა. წულუკიძის სადგომში ყალბი ფული ვაჩვენეთ, მაგრამ იმან უარი განაცხადა, არაფერი არ ვიციო. ამის შემდეგ თავისი წერილები ვუჩვენეთ, მაგრამ მაინც არ გამოტყდა. მე და ბოქაული წულუკიძე ბევრს ვეცადეთ და ბოლოს როგორც იყო, გამოვტეხეთ დაფინე, რომელმაც სთქვა, რომ ყალბი ფული ჩემის ქმრისა არისო.

ბრალმდებლის ამხანაგი.—ახვლედიანი ხომ არ წარუდგინეთ დაფინე ჯოხაძეს პატიმარის სახით? მოწმე.—არა.

ბრალმდ. ამხ.—ბრალდებული თქვენის ხელმძღვანელობით იკვლევდა ჯოხაძის საქმეს.

მოწმე. არა, მხოლოდ ყველაფერს მატყობინებდა.

თავმჯდომარე. მაშ თქვენ ამტკიცებთ, რომ ახვლედიანი დაფინე ჯოხაძისათვის არ გიჩვენებიათ. პატიმარის სახით?

მოწმე.—ჰო, იყო რაღაც მაგ გვარი.

შემდეგ ბევრს კითხვაზედ მოწმემ პასუხი არ მიუგო, აღარა მახსოვს რაო.

(შემდეგი იქმნება)

*) იხილე „ივერია“ № 25

## დამაკვირდი

ბრძენი ადვილად იცხოვრებს ამა სოფლის ძლიერთა წყალობის უქონლადაც, მაგრამ ძლიერთა ცხოვრება რა იქნება, ბრძენთა რჩევა-დარიგება რომ მოაკლდეს.

მირზა-შაფი

* * *

სადაცა საუნჯენი თქვენნი, მუნცა იყვნენ გულნი თქვენნი.

იოანნე ბოლნელი

* * *

ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწერია იმას, ვისაც ამა ქვეყნის გასანათლებლად და გასაბრწყინვალებლად დაუდვია თავი თვისი.

ლენაუ

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთმა ქალმა ქ-ნმა შოველმა ითხოვა, ნება მომეცით პარიჟის სასამართლოებში ვექილობისაო, მაგრამ ამაზედ უარი უთხრეს, თუმცა უწინ კი ბევრი მაგალითი ყოფილა დედაკაცის ვექილობისა. მეცამეტე საუკუნის ქრონიკებში სწერია, რომ ერთი დედაკაცი, ნოველა კალდენირა ვექილობდა და რაც-კი საქმე უწარმოებია სასამართლოში ყველა მოუგიაო. ეს-კი მაინც აშკარა არისო, სწერს ერთი იმ დროის მწერალი, რომ იმის მჭერმეტყველებას ძლიერა ჰშველოდა მისი იშვიათი სილამაზეო. იტალიაშიც რამდენიმე ვექილი დედაკაცი ყოფილა მეჩვიდმეტე საუკუნეში, მათ შორის მეტად განთქმული იყო პოეტი ქალი ლუკრეცია ელენე კორნარო. რამდენიმე ვექილი დედაკაცი ყოფილა აგრეთვე იტალიაში მეთვრამეტე საუკუნეში. 1797 წელს პარიჟის სასამართლო ასამართლებდა ერთს კაცს და ბრალდებულის ვექილად წარსდგა იმისი ცოლი. ვიდრე საქმის გარჩევას დაიწყებდა სასამართლო, განაცხადა, რომ კანონით დედა-კაცს აკრძალული არა აქვს ბრალდებულის დაცვაო. 1884 წელს ერთს ახალგაზდა მასწავლებელ დედა-კაცს ო-კაროლს ნება დართეს თითონ დაეცვა სასამართლოში თავისი ინტერესები. ეს დედა-კაცი პარიჟის ქვაფენილზე დაეცა, დაშავდა და უჩივლა ქალაქის თვით-მართველობას, რატომ კარგად არა გაქვთ გაკეთებული ქვა-ფენილიო. ამ მაგალითების მიუხედავად, პარიჟის ეხლანდელმა სასამართლომ ქ-ნს შოველს ნება არ მისცა ვექილობისა, თუმცა ქ-ნმა შოველმა თავისი საქმე კარგად იცოდა და საფრანგეთის კანონ-მდებლობა მშვენივრადა ჰქონდა შესწავლილი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 თებერვალი.

**პარიჟი.** ტრარიემ ჩვენების ჩამორთმევის დროს სასამართლოს განუმარტა, რომ ტეისონიერის მიერ წინად ნათქვამი ჩემთან ბორდეროს შესახებ ეწინააღმდეგება ტეისონიერის ეხლანდელს ჩვენებას ბორდეროს შესახებვე. ტეისონიერის მიერ ნაჩვენები საბუთის ქაღალდები შევისწავლე და არაფერი საერთო არა აღმოჩნდა-რა დრეიფუსისა და ბორდეროს ნაწერებს შორისო.

**პარიჟი.** ზოლას საქმის განხილვაა. დრეიფუსის საქმის განხილვის დროს ექსპერტად ნამყოფი შარაბეი იქმნა მოწვეული ჩვენების ჩამოსართმევად. შარაბეიმ უარი განაცხადა, პასუხს არას მოგცემთო, და დაუმატა, რომ ექსპერტს მხოლოდ მიმდინარე საქმეების შესახებ შეუძლიან სთქვას რამე და არა გამორკვეულ და გადაწყვეტილ საქმის შესახებაო. თავმჯდომარის საქმეში ჩარევისათანავე შარაბეიმ განაცხადა, რომ მხოლოდ ნაწერების შედარებით ბრალს არ დავდებდი კაცს, თუ სხვა რამ ზნეობრივი საბუთი არა ყოფილიყო. (ხანგრძლივი მოძრაობაა). ექსპერტმა პელიემ თავისს მოხსენების მთავარი აზრი წაიკითხა და სთქვა, რომ ხელთ არაფერი საბუთი არა მაქვს იმის სათქმელად, რომ ბორდერო ერთს რომელსამე შენიშნულს ეკუთვნისო. ესტერგაზის საქმის ორმა ექსპერტმა არა სთქვეს რა,—საპროფესიონალო საიდუმლო ნებას არ გვაძლევს ვთქვათ რამეო. ექსპერტმა ბარინორმაც უარი განაცხადა. ლაბორიმ სთქვა, რომ ამ კერძო საგნის შესახებ ჩემს აზრს წარმოგიდგენთო. კრება დაიშალა. ხალხს წინა დღეებთან შედარებით მშვიდად ეჭირა თავი.

**პარიჟი.** სასამართლოს დარბაზს გარეშემო პოლიცია დააყენეს. ხალხის დაშლის დროს არაფერი განსაკუთრებული ამბავი არა მომხდარა. მახლობელს მაღაზიაში რამდენიმე ცნობის მოყვარემ თავი მოიყარა და აფიცრებს ყვირილით მიეგება. ზოლას ეტლმა ისე გაიარა, რომ არავითარი მანიფესტაცია არ მოუხდენიათ.

**ათინა.** საზღვაო სასამართლომ ლეიტენანტი კოკორრირი უდანაშაულოდ იცნო.

4 თებერვალი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება შესახებ იმისა, რომ საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ იქმნას საგანგებო ინსპექცია, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს სამრეწველო სასწავლებლებს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კერზონი იუწყება, რომ მთავრობას განზრახვა აქვს დანიშნოს ინდოეთის ჯარის ოფიცერი დედოფლის წარმომადგენლად მენელიკთან, რომ მოლაპარაკება იქონიოს ხოლმე მასთან, როცა საჭიროება მოითხოვს.

**პარიჟი.** აქ მოვიდა ახლად დანიშნული ელჩი რუსეთისა თავადი ურუსოვი.

„Figaro“ უარსა ჰყოფს იმ ხმას, ვითომ პრინცმა ლუი ნაპოლეონმა დედოფალი ვილჰელმინა დანიშნაო.

**პარიჟი.** „სასამართლოს სასახლესთან“ ნაკლებად არის ცნობის მოყვარე ხალხი, ვიდრე გუშინ იყო. მშვიდობიანობაა. საქმის გარჩევა დაიწყეს 12 ს. 45 წ. სასამართლოს დარბაზი სავსეა. სასამართლომ განაცხადა, რომ ვექილის თხოვნა ექსპერტებმა განმარტონ, რა სთქვეს მაშინ, როცა ესტერგაზის საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა,—შეწყნარებულ არ იქმნაო. გენერალი გონზი წინააღმდეგია ჟორესისა, რომელმაც ბრალი დასდო მთავარ შტაბს—არ უნდა ამ საქმეს ნათელი მოჰფინოსო. ლაბორი ამბობს ამაზედ: „თუ სინათლის მოფენა გსურთ, სამხედრო მინისტრს მიჰმართეთ და სთხოვეთ მაგის ნება-რთვა“. გონზი ამბობს, რომ ჩემი სამსახური ნებას არ მაძლევს ასეთი თხოვნა გადავცე სამხედრო მინისტრსაო. ჩვენება ჩამოართვეს ექსპერტს კრეპიეს. ვექილმა კლემანსომ ითხოვა, გავგზავნოთ კაცი და ვკითხოთ ქ-ნ ბულანსის წერილებ შორის ისეთი ხომ არ არის, რომ შეურაცხმყოფი იყოს გენერალ სოსიესა და საფრანგეთის ჯარისთვისაო. (ხანგრძლივი აღელვებაა). ჩვენება ჩამოართვეს სამს სხვა ექსპერტს: ემილ მოლინეს (პალეოგრაფს) სელლერის (პროფესორს ფონტებლოში) და ბურმონს (პალეოგრაფს). სამთავენი ამტკიცებენ, რომ ფაქსიმილეს ხელი და ესტერგაზისა ერთი და იგივე არისო. შემდეგ გამოვიდა ფელიქს ფრანკი, ვექილი ბრიუსელიდგან და მოითხოვა შავი ფიცარი და ყველასთვის აშკარად დაენახვებინა, რა ხელით არის დაწერილი ბორდერო და აგრეთვე ესტერგაზის ხელი, ამისთვის სულ ერთი საათი არის საჭიროო. საქმის გარჩევა შესწყდა. მოტანეს შავი ფიცარი და საქმის გარჩევა ისევ დაიწყეს. ფრანკი უჩვენებს ხალხს, რა განსხვავებაა ესტერგაზის ხელსა და ბორდეროს შორის და ბოლოს ამბობს: „მთელ დედამიწის ზურგზედ მხოლოდ ერთს ესტერგაზის შეეძლო ამ ბორდეროს დაწერაო (აღელვებაა) ფრანკი დასძენს: „ვინც ეს ბორდერო დასწერა, იმას გერმანელის სული უდგია და ადრე იქმნება, თუ გვიან დამტკიცდება, რომ ბორდერო დრეიფუსს არ დაუწერია“.

## შემოწირულება

მივიღეთ ვ. მ. ჯაფარიძისაგან ქ. განჯაში ალილოზედ შეკრებილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ და ეს ფული უკვე გარდავეცით დანიშნულებისამებრ.

# განცხადებანი

!!ერიდეთ არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური
ბორნო-ცვიმოლის საპონი
გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჰორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.
ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან. (24—მ.—7)

ალექსანდრე მაჭუტაძის საწყობში

ცხენის რკინის-გზის პარკის პირდაპირ ისყიდება რცხილის შეშა საჟენი 28 მანეთად. (2—27—1)

ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებსა სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარს და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი. (წ.)

Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Февраля 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.